მატჩი “დაუგავასთან”

რიგა (ტელეფონით).

23 სექტემბერს აქ შედგა მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე “ა” კლასის გუნდებს შორის, რომლებიც იმყოფებიან მეორე ექვსეულში. თამაშობდნენ “დაუგავა” (რიგა) _ “დინამო” (თბილისი).

დინამოელებმა თავიდანვე შეტევით დაიწყეს თამაში. ლიდერი მოქმედებდა სწრაფად, ტემპიანად, კარგი ურთიერთობით სხვადასხვა რგოლებს შორის. განსაკუთრებით ეფექტურად თამაშობდნენ გარემარბები მესხი და მელაშვილი, რომლებიც ხშირად გადიოდნენ ფლანგებზე და აწოდებდნენ ბურთებს ცენტრში, მაგრამ თავდამსხმელები აქ ვერ იყენებდნენ მეტად ხელსაყრელ მომენტებს. გარდა ამისა, სათანადო უნდა მიეზღოს “დაუგავას” მცველებსა და მეკარე ტუჩკუსს, რომლებმაც უდიდესი დატვირთვით იმუშავეს თავიანთი კარის უხიფათობისათვის. მათი თავგანწირვის წყალობით და თბილისელი ფორვარდების “დახმარებით” ანგარიში თითქმის ტაიმის დამთავრებამდე არ გახსნილა. ხოლო მაშინ, როცა შესვენებამდე დარჩენილი იყო რამდენიმე წამი, “დინამომ” გაითამაშა კომბინაცია, რომლის შედეგად მელაშვილი დრიბლინგით გავიდა 3 მცველს შორის და გადააწოდა ცენტრში. კალოევმა ფეხებს შუა გაუშვა ბურთი, რომელიც კარგ პოზიციაში მიიღო იამანიძემ და გაგზავნა კარში _ 1:0.

მეორე ტაიმში რიგელებმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ უპირატესობა ძირითადად კვლავ თბილისელებს ჰქონდათ.

23-ე წუთზე “დაუგავამ” გაიტანა საპასუხო გოლი. ეს მოხდა ასე: სმირნოვმა (#9) მოულოდნელად დაარტყა კარში, კოტრიკაძემ სწორედ ვერ გამოზომა ბურთის მიმართულება და გაუშვა იგი კარში _ 1:1.

დარჩენილ დროში დინამოელებს კვლავ ჰქონდათ რამდენიმე კარგი მომენტი, მაგრამ მათი არაზუსტი დარტყმები კვლავ სცდებოდა მიზანს, ხოლო რაც შეეხება მასპინძლებს, მათი ორი თავდამსხმელი 88-ე წუთზე პირისპირ დარჩა კოტრიკაძესთან, მაგრამ ეს შესაძლებლობა არ იქნა რეალიზებული.

მატჩი დამთავრდა ფრედ _ 1:1.

ბ. ოზოლინში (ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 25 სექტემბერი, 1960 წ.